

ნახ. ჯ. ლოლუასი

— რაა ეს? ფერადი ტელევიზორი შეიძინეთ?
— არა, კაცო, ამ კრიტიკოსმა იმდენი აქო ერთი ცუდი ნაწარმოები, რომ სირცხვილისაგან გაწითლდა.

№ 17 (1315) სექტემბერი 1969

ნიანგი

გამოცემის 46-ე წელი ფასი 20 კაპ.

— შე კაი კაცო, სახლში ცოლი მაზის თავზე, სამსახურში — უფროსი, აქ მაინც დამცინეთ თავიანთ ულოდ!

მოქანდაკე და ღმერთი

ხელმოცარული მოქანდაკე ღმერთთან მივიდა
და სთხოვა: „ვინმე გააბრაზე ჩემზეც, უფალო,
ანჯელოსავით ჩამიფყლეტის კოხტა ცვივრი და
მეც გავხდე დიდი, ალარ ვიყო ასე უბრალო!“.
ღმერთს გაეცინა: „ცვივრი თუა ვინმ დევნი,
რა საჭიროა ტკვინის ჭყლეტა და რაზე სტირი?
ყველას მივეცი სარეტარი შესაფერისი:
მიქელანჯელოს ქმნილება აქვს და შენ კი — ცვივრი“.

მორალ:

ზოგი ისტატი ყურადღებას აქცევს წვრილმანებს,
ვერ ამჩნევს იმას, რაც ღირსებით მართლა ბრწყინვალება.
ცვივრი რომ იყოს ქანდაკაკის თავი და ბოლო,
ყველაზე დიდი მოქანდაკე იქნება სპილო.

ალაკი ბულოკავი

— თუ ორანგუტანი იყო კინო, ვერ თქვით თავიდან? მოდი-ციე ჩემი ზღვარი, მეძინება!

ალეკსანდრე მაკი

ენციკლოპედიანი! მოიტანეთ აქ ყველაზე მაღალი ადგილი და აიყვანეთ იქ გამოუსწორებელი ალეკტიკოსი! იგი ოფიციალურად განიცხადებს, იწამებს ადამიანის ძალას.

უფრთხილდეს! საძარცველი ეურჩება კოშენიზმის უმძლავრეს ბუჩქს!

**ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲣᲗᲣᲜᲒᲘᲜᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲮᲡᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲔᲜᲒᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲜᲘᲐᲯᲣᲠᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲬᲔᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲘᲬᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგის ჯაფვარის სლონგი



უსიტყვოდ

ნახ. ბ. ხიდეშელისა

— ორჯოფული კასუხია, ორს გიფერთ!
— სამჯოფულს მოვიფიქრებ, გატონო!

ეს ოჯახქორი ცირკში ყოფილა ნამუშევარი და შპარგალკა ვერ გამოვუთავე!

ნ.ხ. ვ. კილაძისა

— არა გრცხვენოთ? ~~ოჯს~~ გლავით! მთავარია, სულით არ დაეცეთ, თორემ თქვენი ხორცი არ იჭმება და ტყავი არ ვარგა.

ნ.ხ. ბ. აბაზიძისა

— გაჯრიდან რომ მიმსლეთ. რაკია საქმე?
— მთელი გაჯარი შენ წამოიღე და ჩვენ, აბა, სად წავიდეთ?!

ნ.ხ. გ. ლომიძისა

რადიომოყვარული.

— ამის ცოლს ჭკუა აქვს ახლა, ასე უსაქმოდ რომ გამოუშვია ქმარი? რამე ხელსაქმე მაინც ესწავლეგინა!

როგორ გავატარე აღდგომა

(საკლასო დავალება)

დამთავრდა სასწავლო წელი.

— თუ გინდა, ერთად წავიყვანოთ ბავშვები სადმე!

— შემომთავაზა მეზობელმა.

— ჩემმა ბიჭმა მოსკოვში წასვლა აიჩემა და არ ვიცი, რა ვქნა!

— მაგას რა ჯობია, შე ქალო! — გაუხარდა ქსენიას, — დავათვალიერებინოთ მოსკოვი ბავშვებს. ორ კურდღელს ერთად მოვკლავთ: რაღაც წვრილმანებიც მაქვს საყიდი.

ქსენიამ და ქეთომ სიტყვა საქმედ აქციეს. იმავე საღამოს ჭირვეული ქმრები ბავშვების მოსკოვში წაყვანის აუცილებლობაში დაარწმუნეს და, ორი დღის შემდეგ, თავიანთი თოთხმეტი და თორმეტი წლის ბიჭებთან ერთად უკვე თვითმფრინავში ისხდნენ. გახარებული ბიჭები ილუმინატორს მისხდომოდნენ და ცის უკიდეგანო სივრცეს გასცქეროდნენ, ხოლო ქსენია და ქეთო მარშრუტს ადგენდნენ.

— ხვალე წითელ მოედანზე წავიყვანოთ ბავშვები, კრემლი დავათვალიერებინოთ. სასტუმრო „როსიაც“ იქვეა. გადასარევი შენობა ყოფილა! — თქვა ქსენიამ.

— ხვალ საღამოს კი თეატრში წავიდეთ! — წინადადება შემოიტანა ქეთომ, — მაიაკოვსკის „ბაღლინჯო“ ვნახოთ.

— ბაღლინჯოზე გამახსენდა, ჩემო ქეთო! დუსტი მაქვს საყიდი და თანაც საზღვარგარეთული. არ დამავიწყო.

— ლენინგრადის თეატრი ყოფილა ჩამოსული მოსკოვში; კარგი იქნება, ტოვსტონოგოვის დადგმით, გორკის „მეშჩანები“ ვნახოთ.

— მეშჩანები თბილისშიც ბევრია, შე ქალო! მაგაზე დრო დავკარგოთ?!

— ვახტანგოვის თეატრში „მზის შვილები“ გადის.

— გაჩერდი, თუ ქალი ხარ! მზის შვილებს რას დავეძებთ. ჩვენი შვილებისათვის ათასი რამე გვჭირდება.

— აბა, რა ვაჩვენოთ ბავშვებს მოსკოვში?

— ჩავიდეთ და ვნახოთ.

მეორე დილას მზრუნველმა მშობლებმა პირდაპირ „გუშში“ ამოაყოფინეს თავი ბავშვებს. თავიდან მათი ყურადღება ამ უნივერსალური მაღაზიის არქიტექტურამ მიიქცია. გადაწყვიტეს, ჯერ ის დათვალიერებინათ საფუძვლიანად. გულდასმით შეისწავლეს ყველა სართული, მოდების სადემონსტრაციო დარბაზი და გვიან საღამოს ათასნაირი ნავაჭრით დატვირთულებმა, დაქანცულებმა, მაგრამ კმაყოფილებმა სასტუმროს მიაშურეს.

მესამე დღეს ქალებმა კალინინის პროსპექტზე წაიყვანეს ბავშვები. ცათამბჯენებს შეახედეს და იმავე ცათამბჯენების პირველ სართულზე განლაგებულ მაღაზიებში შერგეს თავი. საღამომდე ვერ შეელიენ აქაურობას. იმდენი საინტერესო რამერუმეებით დაიტვირთნენ ბავშვები, რომ ბოლოს მათი მშობლები იძულებული გახდნენ ფოსტით გამოეგზავნათ აუცილებელი ნავაჭრი.

წამოსვლის წინა დღეს ქსენიასა და ქეთოს სინდისმა ქენჯნა დაუწყო და სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წაიყვანეს შვილები. ანდა როგორ არ უნდა წაეყვანათ, როცა იმ დღეს გამოფენაზე პოლონური საქონლის ბაზრობა-გაყიდვა იყო. კოსმოსის პავილიონი და პანორამული კინოთეატრი აჩვენეს ბავშვებს სასწრაფოდ და მერე გულდასმით შეისწავლეს პოლონური კოფტების, ჯემპრებისა და გიპიურების კოლეიდოსკოპი. როდესაც გამოფენიდან დატვირთულები გამოვიდნენ, ტაქსი გააჩერეს და მძღოლს თხოვეს, ქალაქი დაგვათვალიერებინეო. ტაქსის მძღოლმა თვალი შეავლო ქსენიასა და ქეთოს ნავაჭრს და სულ საკომისიო მაღაზიების წინ აჩერებდა მანქანას. ქალებსაც ეს უნდოდათ!

როდესაც უკვე თბილისის ტაქსში ისხდნენ და აეროპორტიდან სახლისაკენ მიეშურებოდნენ, ქეთოს მეუღლემ იკითხა:

— მაიაკოვსკის „ბაღლინჯო“ აჩვენეთ ბავშვებს?

— დედა, დედა! ეს რა მომივიდა! — წამოიყვირა ქსენიამ.

— რა იყო, ქალო?!

— დუსტის ყიდვა დამავიწყდა!..

ვ. რცხილაძე

მაგალითის ძალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოთლი საქმე როდია, აღზარდო კარგი მოქალაქე! თანაც ერთი კი არა, ოთხი კარგი მოქალაქე! ცოლ-ქმარმა შალვა და ნინიკო გელაძეებმა ვალდებულება აიღეს, კარგი შვილები აღზარდათ და ენერგიული შრომით დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. გეგმით გათვალისწინებული ორი შვილის ნაცვლად, ოთხი საუკეთესო ადამიანი მისცეს სამშობლოს. გარდა ამისა, დაზოგეს 12 წყვილი ფეხსაცმელი, ოცდათოთხმეტი ცალი ბამბის წინდა და სამი მაგიდის ნათურა.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): სხედან ცოლ-ქმარი გელაძეები. დგანან მათი მისაბაძი შვილები სოსო, ბესო, თამილა და თემური“.

ეს მასალა მშობლის დღისადმი მიძღვნილ სასკოლო კედლის გაზეთში უნდა დაბეჭდილიყო. მზად იყო ტექსტი, მზად იყო სურათის წარწერაც. წარწერისათვის საჭირო იყო სურათი და ფოტოკორესპონდენტი სასწრაფოდ აფრინეს გელაძეების ოჯახის მთელი ძირითადი შემადგენლობის გადასაღებად. ამ რედაქციაში ასეთი პრაქტიკა ჰქონდათ: ჯერ წერდნენ, მერე კითხულობდნენ და სურათსაც მერე დაუწყებდნენ ძებნას. ამ რედაქციაში ასეთი პრაქტიკა ჰქონდათ. სხვა რედაქციებში სხვაგვარი პრაქტიკა აქვთ.

ფოტოკორესპონდენტმა თავისი საქმე იცოდა.

ოჯახის უფროსებმა — ცოლ-ქმარმა შალვა და ნინიკო გელაძეებმა იგი სიამოვნებით მიიღეს და კიდევ უფრო ნასიამოვნები დარჩნენ, როცა მშობლის დღისადმი მიძღვნილი სასკოლო გაზეთის რედკოლეგიის გადაწყვეტილება შეიტყვეს.

— რა მეთოდით ზრდიდით შვილებს? — ყოველ შემთხვევისათვის იკითხა ფოტოკორესპონდენტმა. მართალია, ასეთი შეკითხვა მისი კონკრეტული ამოცანისათვის არაფერი საჭირო იყო, მაგრამ ფოტოკორესპონდენტიც, თავის მხრივ, ცოლ-შვილის პატრონი იყო და აინტერესებდა. იგი მოელოდა პასუხს იმის შესახებ, რომ ნინიკო და შალვა თავიანთ პატარებს სისტემატურად უამბობდნენ ზღაპრებს, ლეგენდებსა და ხალხურ გადმოცემებს, რომ თავიდანვე აჩვევდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ა. შ. მაგრამ ბატონმა შალვამ კორესპონდენტს კითხვა შეუბრუნა:

— რა მეთოდით ზრდიან შვილებს, საერთოდ?

— ძირითადად, შედარებითი მეთოდით, თუმცა სხვა მეთოდებითაც...

— ჩვენ, სიმართლე გითხრათ, ბატონო, ძირითადად დაბანა-დარეცხვისა და კვების მეთოდებით ვხელმძღვანელობდით.

— სხვა რაიმე მწყობრი აღზრდის სისტემა არ გაგაჩნდათ?

ოჯახის უფროსმა თავის მებრძოლ თანაშემწეს გადახედა, ნინიკომ მხრები აიჩეჩა.

— ტყუილი თუ გითქვამთ შვილებთან?

— ჩვენს შვილებთან თუ სხვის შვილებთან?

— თქვენს შვილებთან.

— კი.

— მთვრალი თუ მოსულხართ სახლში?

— ბევრჯერ.

— შვილებს თუ შეუმჩნევიათ, რომ ნასვამი იყავით?

— მაგენს რას გამოაპარებ!..

— კი მაგრამ...

აქ ფოტოკორესპონდენტი შეჩერდა. სამაგალითო მამის თეორია კრიზისს განიცდიდა.

— ჩემი სიმთვრალით შვილებს ვასწავლიდი, რომ სიმთვრალე ცუდია.

— მილიციაში თუ მოხვედრილხართ?

— სამჯერ და სამივეჯერ სამართლიანად.

— კი მაგრამ...

ფოტოკორესპონდენტი აქაც შეჩერდა. აღზრდის თეორიას ისევ უჭირდა.

— მილიციაში ჩემი მოხვედრით ბავშვები ხვდებოდნენ, რომ არც იქ მოხვედრა იყო მაინცდამაინც სახარბიელო.

არ შეიძლება ითქვას, რომ სტუმრისათვის ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ ფოტოკორესპონდენტს მეტი შეკითხვა აღარ დაუსვამს.

* * *

ამ ამბიდან ორი თვის შემდეგ ამხანაგური სასამართლო იხილავდა ფოტოკორესპონდენტის მეუღლის სრულიად სამართლიან საჩივარს. ბრალდებულის ამხანაგურ სკამზე დაურცხვენლად იჯდა გამოუსწორებელი ლოთი, უსაშველო მატყუარა და აშკარა თაღლითი ფოტოკორესპონდენტი, რომელიც, როგორც საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამტკიცებდა, უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ცუდ მაგალითს აძლევდა როგორც თავის საკუთარ სამ შვილს, ისე სხვების თითო-ოროლა შვილებს.

ბრალდებულს საბოლოო სიტყვა არ წარმოუთქვამს ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ბრალმდებელი სრულ სიმართლეს ამბობდა, მეორეც — სასამართლო ამხანაგური იყო.

არა ჩემია



— ახლა პროფესორი ჩამოიკვლის და ზედმეტი არაფერი წამოგცდეს, თორემ ნერვული განყოფილებიდან ტრამვატოლოგიაში ამოყოფ თავს!

ნახ. ბ. ფირცხალავასი



№ 574
22/11

— ნაღდში იცი, ფული ეჭნება?!

— ასპროცენტში... რევიზიიდან ბრუნდება!

განცხადება

(გაგითურეგული აბიტურიენტებისათვის)

„ნიანგი“ ხსნის საჯკვების ინსტიტუტს, რომელიც, ითვალისწინებს რა აბიტურიენტთა ტალანტების მოწოლას, აცხადებს მიღებას ლამის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. თამადობის ფაკულტეტი 2. ყანწებით, ლამპის შუშებითა და ტელევიზორებით სმის ტექნოლოგია 3. დარგობრივი სადღეგრძელოები 4. ეკვილიბრისტიკა — ბოთლის დატრიალება «Брись или мяу» 5. რვა ჩაის ჭიქის მონტაჟი 6. შემოსწრებულთან ჯამებით, ოფშებით, ტაშტებით შეტაკების განხრა 7. მაგიდისა და ჩაის ჭიქების ყირამალა ატრიალება, ვახტანგური სმის დროს მასალათა გამძლეობა 8. შეიკისა და ადანდალის სექტორი 9. ელექტროგიტარებით მაიმუნობის ვიწრო სპეციალობა 10. გამოტვინების პრობლემური ლაბორატორია — „შამპო, კონო, შოკო“ 11. სოფლად სტუმრად ყოფნის დროს ვირის დაბმის სპეციალობა, არაყოლოგია და ღვინეტიკა 12. სუფრის სასასმოების კერამიკა (გამოყენებითი ხელოვნება).

მისაღები დამატებითი გამოცდები მოეწყობა ა. წ. 20 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე რესტორან „ყაზბეგში“.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნეს რესტორნის ბუფეტში.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. ფოტოსურათი უქუდოდ, უბლუზოდ, თავგატეხილი.
2. ავტობიოგრაფია პირდაპირი გაგებით. ე. ი. რა ავტომობილით აპირებ ინსტიტუტის სასწავლო პროგრამის გავლას.
3. არყის ჭიქები — 2X100.
4. თამადობის პრაქტიკული სტაჟი (სულ მცირე ორი წელი).
5. პასპორტი (ან გირაოში დატოვების ხელწერილი).
6. უხასიათობის დახასიათება.
7. კვების სიგელი.

სასწავლებელი ამზადებს ქეიფმცოდნეებს, ჭამისტებს, შარაფისტებს.

ინსტიტუტში მიღების დროს უპირატესობა ეძლევათ კაფეში უსაქმოდ ჯდომაში (უმუშევრობის სტაჟივით) დილიდან საღამომდე ჯდომით დაღლილ ტიპებს 15 წლიდან 30 წლამდე, რომელთაც, მდედრობითი და მამრობითი სქესის მიუხედავად, მიეცემათ მდედრობითი და მამრობითი სტიპენდია მანამ, სანამ მათ მშობლებს პირში სული არ ამოძვრებათ.

კვება ექვსჯერადი (მუქთი).

სწავლული მდივანი, პროფეს-2 საქ. სსრ
№4 თამადა ქართლოს ქასრაძე

ნახ. ი. ქოქისაშვილისა

-- აგა, ერთი ვნახავ, რას ჩაყრი მაგ ჩაიში, მთელი შაქარი ღვინოში რომ ჩაყარე!

ცეცხლთან თამაში

(ხანძარსაწინააღმდეგო იგავი)

გაქექილი გახლავთ ძველი
საქმოსანი კაცი — ტურა.
ერთ საღამოს, გულისძგერით,
სხვის ტურასთან გაეშურა...
ჩქარობდა და სიჩქარეში
არ გამორთო გაზის ქურა!

დაანელა ტურა ტრფობით,
წამოვიდა სახლში გვიან
და რას ხედავს: მის სოროში
გაგანია ხანძარია,
თან მეხანძრე სპილოებიც
ჯოგ-ჯოგებად აქ არიან.

ცეცხლჩამქრობი ხორთუმებით
მთლად გაწუწეს ფურჩა-ფარჩა.
მაგრამ რიგის ავეჯიდან
ნაცარი და ფერფლი დარჩა.

ტურის რჩევა

დაიხსომეთ: თქვენს ბინაშიც
რომ არ გაჩნდეს ხანძარი,
მოიშალეთ სხვის კარდაკარ,
სხვის ტურასთან წანწალი!

როსტომ ყენია

ნახ. ბ. ფირცხალავასი

— ნახე, მურთაზს რამდენი ლექსი უსწავლია?!
— ფუნთუ მასწავლებელს „ეპადხალიმეგა“, ეგეგა საუზმე გვაჭამოსო.

მთავარი
რედაქტორის
მოადგილე
გიზო ნიშნიანიძე

სარედაქციო
კოლეგია:
ნ. დუმგაძე
(მთავარი
რედაქტორი)
ზ. გოლქვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нианги».
ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილ.
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად
11/VIII-69 წ.
ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 3/IX-69 წ.
ქაღალდის ზომა
70×108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,4.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემ-
ლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14

შეკვ. № 2427.
უე 02329.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1969
ეროვნული ბიბლიოთეკა
ИНДЕКС 76137

გფრ-ში ჩამოყალიბდა „გერმანელ ნაციონალ-სოციალისტთა კავშირი“, რომელმაც თავი ჰიტლერის მემკვიდრედ გამოაცხადა.



სახიფათო მსგავსება

ამერიკის მონოპოლიები ათასგვარ დაპირებებით ცდილობენ დაიმონონ ლათინური ამერიკის ხალხები.

— ეს გორკილია თუ სამაჯური?
— ნაჩუქარს კბილი არ გაესინჯება!

ორი ბატონის მსახური

გაზეთმა „მორნინგ სტარმა“ განაცხადა, რომ ინგლისმა — აშშ-ს უმცროსმა პარტნიორმა — შეთავსებით დაიკავა გფრ-ის უმცროსი პარტნიორის „სატელიტი ერთეულიც“.

ეს პოლიტიკური კარიკატურები სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის დახატა რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ — მარკ ალექსანდრეს ძე აბრამოვმა.